კონფერენცია/დისკუსია/პრეზენტაცია თემაზე:

,,ციფრული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება"

2023 წლის 29 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება - „ციფრული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება", რომელიც ჩატარდა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) ინიციატივითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პარტნიორობით.

ღონისძიებაზე აკადემიკოს რამაზ ხუროძის და პროფესორების სერგო შავგულიძისა და მამუკა ჩხაიძის წიგნის (მონოგრაფიის) „უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიები 6G ქსელებისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ავტორების მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია პირველი ქართულენოვანი წიგნია ციფრული ტექნოლოგიების უსაფრთხოების მიმართულებით.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა უსმას თავმჯდომარემ, ბესიკ ობოლაძემ. წიგნის- ,,უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიები 6G ქსელებისთვის ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა სერგო შავგულიძემ მოახდინა წიგნის პრეზენტაცია.

კონფერენციაზე - ,,ციფრული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება" მოხსენებებით წარსდგნენ:

- უსმას თავმჯდომარე ბესიკ ობოლაძე. მოხსენების თემა: ,,21-ე საუკუნე-ციფრული გეოპოლიტიკა");

- უსმას საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე გოჩა ცოფურაშვილი. მოხსენების თემა: ,,ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და გამოწვევები ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში";

- უსმას პრეზიდიუმის წევრი, დავით ობოლაძე. მოხსენების თემა: ,,უსმას პროექტების: ,,მეცნიერება მდგრადი

განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის", ,,ციფრული ტენოლოგიები და უსაფრთხოება", მიმდინარეობის ანალიზი";

- უსმას წევრი,მარინა ქურდაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი. ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი. მოხსენების თემა: ,,კიბერსივრცის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების წინაპირობა, გამოწვევები და ლოგიკური ქმედებები";

- მარიამ ჩხაიძე, სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემის ფაკულტეტი,ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის უფროსი. მოხსენების თემა: ,,ხელოვნური ინტელექტი და უსაფრთხოება";

- ანა ჯიქია, უსმას მკვლევარი. მოხსენების თემა: ,,კიბერუსაფრთხოების საკითხებში ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა".

[იხილეთ ღონისძიების ვიდეოკოლაჟი აქ]

[იხილეთ პრეზენტაციის ფოტოკოლაჟი აქ]

[იხილეთ ამონარიდი პრეზენტაციის ვიდეოჩანაწერიდან აქ]

[იხილეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ფეისბუქ გვერდიდან მასალები აქ]